

ქალაქ მონფალკონე ყურადღებით ადევნებს თვალს იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რომელსაც დღესდღეისობით ადგილი აქვს საქართველოში.

ადმინისტრაციამ საქართველოსთან თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს დაარსებით ქ. ქუთაისში, ქალაქში, რომელიც ჯერჯერობით გადაურჩა საბრძოლო მოქმედებებს.

იოსებ ხახალეიშვილი, სააგენტოს დელეგატი მონფალკონეს რამდენჯერმე სტუმრობდა და ჩვენი ოფისის ადმინისტრაციის წევრები, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მას ორჯერ შეხვდნენ საქართველოში.

დელეგატმა ამჯერად მიმართა ქალაქ მონფალკონეს და სხვა პარტნიორებს სააგენტოს წევრი ქალაქებიდან (ნიუპორტი, სტრასბურგი, ნანტი), რომ მას დაეხმარონ არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში

ადმინისტრაცია სოლიდარობას უცხადებს საქართველოს, რადგან განხორციელებულმა პროექტებმა ახალგაზრდობის და ქალთა ფენის გაძლიერების, ადგილობრივი მმართველობის საქმიანობების გაუმჯობესების და სოციალური უფლებების შესახებ, გაამყარა მათი კავშირები.